



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

ა. შ.

28 ოქტომბერი 2021 წელი
N 41/36

ეგზ. N1

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
დანართები	მოსაზრება	5
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	6
	2. მნიშვნელოვანი გარემოებები	15
	3. სხვა გარემოებები	17
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	22
	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	24
	კონსოლიდირებული ერთეულები	56
	საკონტაქტო ინფორმაცია	56

ტერმინები და
შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

დაცული ტერიტორიების სააგენტო – სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო;

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

სატყეო სააგენტო – სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო;

ღვინის სააგენტო – სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო;

სოფლის განვითარების სააგენტო – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო;

დონორების პროექტი – ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების (WB), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის პროექტი (GEF, IFAD);

კორპორაცია – სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“;

ანასეული – შპს „ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი ანასეული“;

მიწის მართვის სააგენტო – სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროების მართვა და ხელშეწყობა. სამინისტროს ძირითადი მიმართულებებია: ბუნებრივი რესურსების მართვა და სახელმწიფო კონტროლი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, აგრარული რეფორმები, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოებაში საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა და სხვ.

COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად, სამინისტრომ განახორციელა ეკონომიკის მხარდაჭერის და სტიმულირების ღონისძიებები.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამულ ბიუჯეტს დაემატა ახალი ქვეპროგრამა „ახალი კორონავირუსიდან – COVID-19-დან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებები“,¹ რომელიც ითვალისწინებს:

- „პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების სახელმწიფო პროგრამით“² პირველადი მოხმარების პროდუქტებზე³ სავალუტო ცვლილებებით გამოწვეული ფასების სუბსიდირებას;
- „პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების მარაგების შექმნის პროგრამის“⁴ ფარგლებში მარაგების შექმნას;⁵
- „აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით“⁶ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის და ხარისხის ზრდას;
- „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“⁷ ფარგლებში ბენეფიციარებისთვის გათვალისწინებულ დახმარებას, საქონლის ან/და მიწის ნაკვეთის აგროტექნიკური დამუშავებისთვის მომსახურების ღირებულების სუბსიდირებით;
- „ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებებით“⁸ ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობას.

სამინისტროს მმართველობაშია 11 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ერთი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი – საქვეუწყებო დაწესებულება.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2020 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ (ლარი)

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობის %	საკასო ⁹
სულ სამინისტრო	476,860,000	486,860,000	2.1%	496,804,262
მომუშავეთა რიცხოვნობა	3,539			
ხარჯები	439,710,000	450,189,000	2.4%	463,176,591
მ.შ. შრომის ანაზღაურება	42,842,000	41,894,000	-0.9%	47,023,254
არაფინანსური აქტივების ზრდა	37,150,000	36,671,000	-1.3%	33,627,671

¹ პროგრამული კოდი: 31 05 18.

² საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N185 დადგენილება, პროგრამული კოდი: 31 05 18 01.

³ ბრინჯი, მკარონის ნაწარმი, წიწიბურა, შაქარი, მზესუმზირის ზეთი, ხორბლის ფქვილი, ხორბალი, ლობიო, რძის ფხვნილი.

⁴ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 მარტის N608 განკარგულება, პროგრამული კოდი: 31 05 18 02.

⁵ 5000 ტონა შაქარი, 500 ტონა მკარონის ნაწარმი და 1,500,000 ლიტრი მზესუმზირის ზეთი.

⁶ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 მაისის N303 დადგენილება, პროგრამული კოდი: 31 05 18 03.

⁷ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მაისის N312 დადგენილება, პროგრამული კოდი: 31 05 18 04.

⁸ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის N2103 განკარგულება, პროგრამული კოდი: 31 05 18 05.

⁹ სამინისტროს განმარტებით, სხვაობა საკასო ხარჯსა და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის გამოწვეულია მიზნობრივი გრანტის თანხით, რომელიც დაზუსტებულ ბიუჯეტში არ გაითვალისწინება.

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების¹⁰ გადანაწილების შესახებ (ლარი)

საბალანსო ერთეულის დასახელება	496.804.262	100%
ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო	217,993,585	43.9%
სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო	94,946,108	19.1%
სამინისტროს აპარატი	84,075,418	16.9%
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	28,838,245	5.8%
სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო	16,606,760	3.3%
სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	15,364,312	3.1%
სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო	12,574,334	2.5%
სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	7,501,615	1.5%
სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	7,089,123	1.4%
სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო	4,171,943	0.8%
სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	4,129,190	0.8%
სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო	1,546,445	0.3%
სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო	987,188	0.2%
სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	979,998	0.2%

¹⁰ფინანსური ანგარიშგების დანართი „ფინანსური შედეგების“ მიხედვით, შემოსავლებმა, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შეადგინა 53,269,605 ათასი ლარი. აქედან, 11,017,616 ლარი გრანტის სახით მიღებული შემოსავალია, ხოლო 42,251,989 ათასი ლარი შეადგენს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების საკუთარ შემოსავლებს (მ.შ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 39,550,070 ათასი ლარი). საკუთარ შემოსავლებს გამოიმუშავენ სამინისტროს დაქვემდებარებული ყველა უწყება, გარდა სამინისტროს აპარატის, მიწის სააგენტოსა და სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების¹¹ (ერთად – ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს,¹² მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აზარად აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების¹³ შესაბამისად.

¹¹ იხ. დანართი: კონსოლიდირებული ერთეულები.

¹² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანების მუხლი N17, შენიშვნები 1-დან 21-ის ჩათვლით.

¹³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად,¹⁴ აქტივი არის რესურსი, რომელსაც ორგანიზაცია აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული სასამართლოს მიერ სააგენტოს სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილებით მოპასუხეებისთვის დაკისრებული 414,815 ლარის ოდენობის მოთხოვნა.¹⁵

შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული დებიტორული დავალიანების თანხა 414,815 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

1.2 ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად,¹⁶ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების წილები უნდა აღირიცხოს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს თვითღირებულებით აღრიცხული ინვესტიციების კორექტირებას შემენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.¹⁷

სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების საწესდებო კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ცხრილში N3.

ცხრილი N3. ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების საწესდებო კაპიტალის შესახებ (ლარი)

მმართველი ორგანიზაცია	კომპანიის დასახელება	საწესდებო კაპიტალი
სამინისტროს აპარატი	შპს „საქართველოს მელიორაცია“	922,282,446
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	შპს „ღვინის ლაბორატორია“	1,209,097
	შპს „ანასეული“	2,474,463
	სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“	8,689,082
	შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“	373,889,406
სოფლის განვითარების სააგენტო	შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“	8,519,745
	შპს „იმერეთის აგროზონა“	6,962,574

ცხრილში მოცემული – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ არ არის აღრიცხული ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშზე – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ აღრიცხული თანხების სისწორეზე.

სამინისტროს აპარატისა და დონორების პროექტების ფინანსურ ანგარიშგებებში მუხლში – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ 2020 წლის 31 დეკემბრის

¹⁴ სსბასს 1, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, მუხლი 7.

¹⁵ დავები ეხება სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გაცემული თანადაფინანსების თანხების ბენეფიციარისთვის დაკისრებას: რ/კ კოოპერატივი „ლაგე 2909“ - 350,070 ლარი, ს/6420005158, საქმე N2/961-20; ზუგდიდი რაიონული სასამართლოს განჩინება (04.08.2020 წ.), სააღსრულებო ფურცელი (03.12.2020 წ.); შპს „ლუკა 2010“ - 64,745 ლარი, ს/5 437066489, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება (19.03.2020წ.), საქმე N2/1104-19, სააღსრულებო ფურცელი (18.05.2020წ.).

¹⁶ ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტები: 45 და 46.

¹⁷ სსბასს 36, მუხლი 8.

მდგომარეობით აღრიცხულია 922,783,395 ლარი, რაც წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში შპს „საქართველოს მელიორაციაში“ განხორციელებულ შენატანებს.¹⁸

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი 2020 წლის საცდელი ბალანსის თანახმად, კომპანიის კაპიტალში სამინისტროდან განხორციელებული შენატანები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 922,282,465 ლარს, რაც 500,930 ლარით ნაკლებია აპარატისა და დონორების ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ თანხასთან შედარებით.¹⁹

სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 17,208,827 ლარი, რაც წარმოადგენს 2012-2018 წლებში სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციასა“²⁰ და 2012-2014 წლებში შპს „გორის სასათბურე მეურნეობაში“ განხორციელებულ შენატანებს.²¹

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორპორაციის აქტივები შედგება რამდენიმე სამეურნეო ნივთისა და ორ კომპანიაში არსებული წილისაგან, კერძოდ:

- 100%-იანი წილი – შპს „აბაშის მარცვლეული კულტურის შესანახ ცენტრში“;²²
- 30%-იანი წილი – შპს „საქართველო-ბელორუსიის სავაჭრო-ეკონომიკური სააგენტოში“.²³

სოფლის მეურნეობის კორპორაციის განმარტებით, ის არ ფლობს ინფორმაციას შპს „აბაშის მარცვლეული კულტურის შესანახ ცენტრისა“ და შპს „საქართველო-ბელორუსიის სავაჭრო-ეკონომიკური სააგენტოს“ ფინანსური მონაცემების ან მათ საკუთრებაში არსებული აქტივების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სოფლის განვითარების სააგენტომ 2021 წლის 27 აპრილს სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ აქციები უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.²⁴

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით,²⁵ შპს „გორის სასათბურე მეურნეობაზე“ 2016 წლიდან მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება.²⁶

2015 წლის სხდომის ოქმის²⁷ თანახმად, შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ საკუთრებაში არსებული 4,105,690 ლარის ღირებულების აქტივები²⁸ უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს. ასევე, კომპანიის დირექტორის განმარტებით, ანგარიშის თარიღისათვის შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“ ფლობს მხოლოდ რამდენიმე სამეურნეო/საოფისე ინვენტარს.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება, რამდენად აკმაყოფილებს ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 17,208,827 ლარი აქტივად

¹⁸ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე.

¹⁹ აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

²⁰ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2011 წელს გადაეცა სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ 100%-იანი წილი.

²¹ აღნიშნული საკითხი განხილულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

²² ს/ნ 404928548.

²³ ს/ნ 404865259, მეწილეები: სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ (30%), უცხოური საწარმო დახურული სს - ხორცისა და რძის კომპანია, ბელარუსი (16%), უცხოური საწარმო რესპუბლიკური უნიტარული სავაჭრო-სამრეწველო საწარმო - სავაჭრო სახლი „ბელგოსპიშჩერომ“, ბელარუსი (17%), უცხოური საწარმო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო სამეწარმეო გაერთიანება „ბელაგრომშ“, ბელარუსი (17%), შპს „მექანიზატორი“ (10%), სახელმწიფო (10%).

²⁴ ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსა და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება (27.04.2021წ.).

²⁵ ბოლო ცვლილების თარიღი: 06.05.2016.

²⁶ გაკოტრების მმართველად დანიშნულია სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

²⁷ ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (ყოფილი – სოფლის განვითარების სააგენტო) გამგეობის N53 სხდომის ოქმი.

²⁸ მიწის ნაკვეთები, სათბურის კონსტრუქცია, ირიგაციისა და გათბობის სისტემა და სხვა აქტივები.

აღიარების კრიტერიუმებს და რამდენად შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას. ასევე ვერ დავრწმუნდით ინვესტირებული თანხით შექმნილი აქტივების არსებობაში.

1.3 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს 9,618,222 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებას, რომელიც წარმოქმნილია 2004-2009 წლებში. მათ შორის, 6,123,850 ლარი²⁹ წარმოადგენს შპს „საქართველოს მელიორაციის“³⁰ მიმართ არსებულ სასესხო მოთხოვნას, რომელიც გაცემულია სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.³¹

2015 წლიდან სესხებზე პროცენტისა და პირგასამტეხლოს დარიცხვას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

შემოდინებული სესხების დაფარვის ალბათობა დაბალია მათი ხანდაზმულობიდან და კომპანიის³² ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ შპს „საქართველოს მელიორაციის“ თითქმის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოეყოფა, დაახლოებით, 17-20 მლნ ლარის სუბსიდია მიმდინარე საქმიანობისთვის.

სამინისტროს ბალანსზე ასევე აღრიცხულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა კომპანიაზე გაცემული ვადაგადაცილებული სასესხო მოთხოვნები – 3,494,372 ლარის ოდენობით, რომლებიც წარმოადგენილია ცხრილში N4.

ცხრილი N4. სხვადასხვა პროექტზე გაცემული სესხების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

ორგანიზაციის დასახელება	წარმოშობის წელი	სესხის ნაშთი
შპს „მარცვალი“	2006	1,576,750
შპს „ბეგი კომპანი“	2006	1,440,338
შპს „ღვარები“	2006	272,334
შპს „ერედვი“	2004	70,000
ფ/პ ზვიად კობერიძე	2004	70,000
სს „სოფლტექსერვისი“	2004	36,878
შპს „გორა-2003“	2004	28,072
სულ:		3,494,372

ცხრილში მოცემული 3,494,372 ლარის დებიტორული დავალიანება წარმოადგენს 2006 წელს ამერიკული ხორბლის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან მარცვლეულის მოსავლის მოყვანის პროექტის³³ ფარგლებში და 2004 წელს სერვისცენტრების გახსნის მიზნით, სხვადასხვა კომპანიებზე³⁴ გაცემულ სესხებს. სამინისტროს იურიდიული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დაუფარავი სესხების ნაწილზე 2010 წლიდან უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოების პროცესები,³⁵ ნაწილზე – გაკოტრების საქმისწარმოება.³⁶

შემოდინებულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 9,618,222 ლარის დებიტორული დავალიანებების ამოღების ალბათობა მცირეა და, შესაბამისად, ისინი არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

²⁹ სესხის ძირი: 2,500,000 ლარი, პროცენტი და პირგასამტეხლო: 3,623,850 ლარი.

³⁰ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო; საქართველოს მელიორაცია შექმნილია 2012 წელს შემდეგი 4 კომპანიის ბაზაზე: შპს „კოლხეთი-მ“, შპს „მტკვარი-მ“, შპს „ალაზანი-მ“, შპს „სიონი-მ“.

³¹ სესხები გაცემულია მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, სხვადასხვა იურიდიულ პირზე, ფინანსთა სამინისტროს მიერ.

³² 2020 წლის საცდელი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, შპს „საქართველოს მელიორაციის“ ზარალი შეადგენს 82 მილიონ ლარს (2019 წელს – 26 მილიონი ლარი), ხოლო აკუმულირებული ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს, დაახლოებით, 851 მილიონ ლარს.

³³ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 30 ივნისის N129 დადგენილების საფუძველზე. სესხები გაცემულია შემდეგ კომპანიებზე: შპს „მარცვალი“, შპს „ბეგი კომპანი“ და შპს „ღვარები“.

³⁴ შპს „ერედვი“, ფ/პ ზვიად კობერიძე, შპს „გორა-2003“, სს „სოფლტექსერვისი“.

³⁵ შპს „მარცვალი“, შპს „ღვარები“, შპს „ერედვი“ ფ/პ ზვიად კობერიძე, სს „სოფლტექსერვისი“.

³⁶ შპს „ბეგი კომპანი“, შპს „გორა-2003“.

სამინისტრომ წერილით მიმართა ფინანსთა სამინისტროს,³⁷ სამხრეთი სასესიო ხელშეკრულებების ფარგლებში, შპს „საქართველოს მელიორაციაზე“ რიცხული ვადაგადაცილებული და უიმედო სესხების ჩამოწერის ან კომპანიისთვის აღნიშნული ვალდებულების პატიების შესახებ, თუმცა აუდიტის პერიოდში აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული.

სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 2007 წელს წარმოშობილი 2,446,067 ლარის ოდენობის³⁸ ვადაგადაცილებული სასესიო მოთხოვნები, რომელიც წარმოადგენს სამინისტროს, სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს მიერ ოთხმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში ორ კომპანიაზე³⁹ გაცემულ სესხს.

ღვინის სააგენტომ მიმართა ფინანსთა სამინისტროს, მიეწოდებინა ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელს გახდიდა დებიტორული დავალიანებების ამოღების ალბათობის შეფასებას. ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილის⁴⁰ მიხედვით, 2007 წელს გაცემული სესხების და დაკისრებული პირგასამტეხლოს ამოღების ალბათობა მინიმალურია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ერთ წელზე მეტი ვადით გაცემული კრედიტების და სესხების“ ანგარიშზე აღრიცხული 12,064,290 ლარის დავალიანებების ამოღების ალბათობა, მინიმალურია და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.⁴¹

1.4 კონტროლირებადი ერთეულები

აქტივი არის რესურსი, რომელსაც ორგანიზაცია აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას.⁴²

სხვა ერთეულის მართვის უფლებამოსილების განხორციელებისას, აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,⁴³ ორგანიზაცია განსაზღვრავს, არის თუ არა იგი მაკონტროლებელი ერთეული.⁴⁴

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად,⁴⁵ **სოფლის განვითარების სააგენტოს** ორი წლის ვადით სიმბოლურ ფასად – 1 ლარად გადაეცა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს⁴⁶ საკუთრებაში მყოფი შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ 100%-იანი წილის მართვის უფლება.

სოფლის განვითარების სააგენტოსა და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად:⁴⁷

³⁷ 2020 წლის 31 აგვისტოს N7767/01 წერილი.

³⁸ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის: „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების“ დასაფინანსებლად გაცემული სესხების ძირი თანხა – 585,500 ლარი, დარიცხული პროცენტი – 12,158 ლარი და პირგასამტეხლო – 1,848,409 (პროცენტი და პირგასამტეხლო ასახულია „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე).

³⁹ შპს „ქართული ღვინის იმპერია“ და შპს „ალაზნის ველი და კომპანია“.

⁴⁰ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 2021 წლის 7 აპრილის N18/44182 წერილი.

⁴¹ აღნიშნული საკითხები განხილულია და შესაბამისი რეკომენდაცია გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017, 2018 და 2019 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ფარგლებში.

⁴² სსბასს 1, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, მუხლი 7.

⁴³ „ერთეული აკონტროლებს სხვა ერთეულს, როდესაც სხვა ერთეულში მისი მონაწილეობიდან წარმოქმნილ ცვალებად სარგებელთან დაკავშირებით ექვემდებარება რისკებს, ან გააჩნია ამ ერთეულიდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლებები და აქვს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ამ სარგებელთა ბუნებაზე ან ოდენობაზე. სხვა ერთეულზე უფლებამოსილების განხორციელების საშუალებით,“ სსბასს 35, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ – მუხლები: 19, 20, 23, 24.

⁴⁴ სსბასს 35, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, მუხლი 18.

⁴⁵ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 სექტემბრის N1873 განკარგულება „შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოსთვის გადაცემის შესახებ“.

⁴⁶ ს/კ 405406109; ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან B20076718, 25/09/2020.

⁴⁷ 2020 წლის 25 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება „შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე“. ხელშეკრულების პუნქტები: 3.4 და 3.6.

- მმართველ პირს შეუძლია მესაკუთრის თანხმობის გარეშე განახორციელოს საწარმოს წესდებით გათვალისწინებული საწარმოს პარტნიორის ყველა უფლებამოსილება;
- მმართველი პირი უფლებამოსილია მესაკუთრის თანხმობით განახორციელოს კაპიტალში სახელმწიფო ქონების შეტანა.

აღნიშნული ხელშეკრულების პირობები შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით დადგენილ კრიტერიუმებს მაკონტროლებელი ორგანოს განმარტებასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად არ არის აღრიცხული შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ 100%-იანი წილის მართვის უფლება. განმარტებით შენიშვნებშიც არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მართვის უფლებით გადაცემული კომპანიისა და მისთვის გადარიცხული თანხების⁴⁸ შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება სოფლის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გრძელვადიანი ფინანსური აქტივების სისრულესა და სისწორეზე.

1.5 სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხულია 243,440 ლარის ოდენობის აქტივი, რომელიც წარმოშობილია 2004 წელს ვაზის უნიკალური ჯიშების გაშენებისთვის სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და კომპანიაზე წინასწარ გადახდილი თანხებით, მათ შორის:

- სააგენტოს მოხსენებითი ბარათის მიხედვით,⁴⁹ 2012 წლის 15 მაისის სხდომის ოქმის თანახმად, „ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგით ვენახების გაშენების“ ტენდერის ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა დასაშვებად ჩათვალეს სასამართლო გადაწყვეტილებების ანალოგიის საფუძველზე შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება ექვს კონტრაქტორთან, თუმცა, 2012 წელს აღნიშნული ვერ განხორციელდა.

ზემოაღნიშნული ექვსი კომპანიიდან სამ კომპანიასთან⁵⁰ 2017-2018 წლებში გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები, დარჩენილი სამი კომპანია,⁵¹ ჯამური დავალიანებით – 61,452 ლარი, ისევ ირიცხება დებიტორად.

- 69,754 ლარის⁵² დავალიანების გარანტია – იპოთეკის ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილებით გაბათილდა,⁵³ რის ერთ-ერთი მიზეზისაც ხანდაზმულობის ვადის გასვლა წარმოადგენდა. შედეგად, სააგენტომ კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნის ამოღების ბერკეტი დაკარგა, რაც მიუთითებს დებიტორული დავალიანებების არასათანადო კონტროლზე და ქმნის ფინანსური დანაკარგების რისკს.
- ერთ-ერთმა კონტრაქტორმა,⁵⁴ რომელზეც ირიცხება 12,734 ლარის დავალიანება, 2020 წელს ღვინის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.

⁴⁸ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N2625 განკარგულებით „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის N223 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შპს-ს გადაერიცხა 8,527,000 ლარი მის მიერ „აღებული სესხის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით“.

⁴⁹ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსის 2020 წლი 3 ივლისის N1012-03 მოხსენებითი ბარათი.

⁵⁰ შპს „ოქროს ხვანჭკარა“ მიღება-ჩაბარების აქტი (09.03.2017 წ.); შპს „დავით სარაჯიშვილის სახელობის მცხეთის სანერგე“ – მიღება-ჩაბარების აქტი (09.03.2017 წ.); ფ/პ ნუზარ ლეჟავა – მიღება-ჩაბარების აქტი (18.04.2018 წ.).

⁵¹ შპს „ჩხავერი“ – 29,875 ლარი, შპს „უსახელაური“ – 9,745 ლარი, შპს „ვაზი“ – 21,832 ლარი.

⁵² შპს „თემო და კომპანია“.

⁵³ 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/17047-20 (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 129, ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი).

⁵⁴ ფ/პ მიხეილ დიერაშვილი.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დებიტორული დავალიანების ნაწილი შესრულებულია, დარჩენილი ნაწილის ამოღების ალბათობა დაბალია და შესაბამისად, ისინი არ აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 143,940 ლარის ღირებულების გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ამოღების ალბათობა დაბალია.

1.6 ძირითადი აქტივები

აქტივი არის რესურსი, რომელსაც ორგანიზაცია აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას.⁵⁵

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ორგანო, ფონდის ნაწილს სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასცემს კავშირგაბმულობის კომპანიებს.⁵⁶ აუდიტის პერიოდისთვის სააგენტოს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 206 ერთეულ მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით – 29,439 კვ.მ, ხოლო იჯარიდან მიღებულმა შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა 1,577,198 ლარი.

სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთები იდენტიფიცირებულია, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, შესაბამისად, შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება და ბალანსზე აღრიცხვა.

სააგენტოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილია რეესტრი,⁵⁷ რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული კომპანიისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთის შესახებ,⁵⁸ თუმცა სამინისტროს კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებით, შენიშვნებში მსგავსი სახის ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი.

ასევე, სააგენტოს ამ ეტაპზე არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია მთლიანი სახელმწიფო ტყის ფონდის შესახებ⁵⁹ და, შესაბამისად, აღნიშნული აქტივი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. მიუხედავად აღრიცხვის კომპლექსურობისა და სირთულისა, საკითხი მნიშვნელოვანია როგორც სამინისტროს ინდივიდუალური, ასევე სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია ისეთი ძირითადი საშუალებები,⁶⁰ რომელთა ისტორიულ ღირებულებად, საბალანსო ღირებულებად ან შესყიდვის ღირებულებად მითითებულია სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უძრავი ქონების რეესტრში მათი რეგისტრაციის საფასური – 50 ლარი და ცვეთის დარიცხვაც აღნიშნული თანხიდან ხორციელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ძირითადი აქტივების სისრულესა და სისწორეზე.

1.7 შემოსავლები

აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,⁶¹ შეცდომები უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად.

⁵⁵ სსბასს 1, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, მუხლი 7.

⁵⁶ შპს „მაგთიკომი“, სს „სილქნეტი“, შპს „ვიონი საქართველო“, შპს „კავკასუს ონლაინი“.

⁵⁷ სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მმართველობაში არსებული სახელმწიფო ტყის ფონდში განთავსებული ანძებისთვის გამოყოფილი მიწის ფართობის რეესტრი.

⁵⁸ საკადასტრო კოდი, სატყეო უბანი, ფართობი, ანძების რაოდენობა.

⁵⁹ სააგენტოსგან მიღებული განმარტებით, სააგენტო ატარებს ტყის აღწერას (ინვენტარიზაციას), მიუხედავად ამისა, ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაცია ამ ეტაპზე არ არის საკმარისი ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის.

⁶⁰ 12 ერთეული შენობა; 204,972 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; 12 ერთეული 184,956 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც აღრიცხულია დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე.

⁶¹ სსბასს 3, „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მუხლი 47.

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების „მიმდინარე ინვესტიციების“ მუხლში 2020 წლის 1 იანვრისთვის აღრიცხულია 41,504,000 ლარის ღირებულების აქტივი. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის აღნიშნული აქტივი გაიზარდა 19,357,311 ლარით და შეადგინა 60,861,311 ლარი.

„მიმდინარე ინვესტიციების“ მუხლი მოიცავს: ინვესტიციას სს „აკურასა“ და შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისთვის“ გაცემულ სესხს.

სს „აკურას“ წილის გადაცემის ხელშეკრულებისა⁶² და საქართველოს მთავრობის განკარგულების⁶³ საფუძველზე, სოფლის განვითარების სააგენტოს მართვის უფლებით გადაეცა სს „აკურას“ წილის 99.9%, რაც თანხობრივად შეადგენს 57,261,311 ლარს. სააგენტომ, აქტივის რეალური ღირებულებით ასახვის მიზნით 15,757,311 ლარით გაზარდა აქტივის ღირებულება და ამავე დროს – შემოსავალიც, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას, რადგან აღნიშნული ოპერაცია უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც შეცდომების გასწორება და გავლენას არ უნდა ახდენდეს საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ შედეგზე.

სს – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების თანახმად,⁶⁴ დეპარტამენტის მოვალეობაში შედის: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა, საჯარიმო ქვითრის გამოწერა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განიხილვა, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამოტანა და ა.შ.

დეპარტამენტის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების შემოსავლებში⁶⁵ ასახულია 1,663,095 ლარი, რომელიც უკავშირდება 2017-2020 წლებში სამართალდარღვევების ოქმებით დარიცხულ ჯარიმებს. დეპარტამენტი 2020 წლამდე არ აღრიცხავდა მსგავსი ტიპის ჯარიმებს და მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდას.

2017-2019 წლებში გამოწერილი 1,351,551 ლარის ოდენობის ჯარიმების ოქმები ასახულია 2020 წლის შემოსავალში, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას. აღნიშნული ოპერაციას უნდა მიეცეს კლასიფიკაცია, როგორც შეცდომების გასწორება და აისახოს რეტროსპექტულად.

2020 წლამდე **დონორების პროექტის** ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხებოდა საკასო მეთოდით. 2020 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

2018 წელს კონტრაქტორი კომპანიისთვის 374,916 ლარის ოდენობის დაკისრებული ჯარიმა⁶⁶ ბუღალტრულად 2020 წლამდე არ აღრიცხულა და მხოლოდ 2020 წელს მოთხოვნების და შემოსავლის ანგარიშზე აისახა.

შედეგად, სოფლის განვითარების სააგენტოს 2020 წლის შემოსავალი გაზრდილია 15,757,311 ლარით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შემოსავალი – 1,351,551 ლარით, ხოლო დონორების პროექტის – 374,916 ლარით.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე და არა მაშინ, როდესაც ხდება ფულადი სახსრების ან მისი ეკვივალენტის მიღება ან გადახდა. შესაბამისად, ოპერაციებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.⁶⁷

⁶² 2018 წლის 26 ოქტომბერს, ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ხელშეკრულების 2019 წლის 3 ოქტომბრის ცვლილება.

⁶³ 2018 წლის 23 ოქტომბრის N1943 განკარგულება და 2019 წლის 3 ოქტომბრის განკარგულება N2117.

⁶⁴ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N26 ბრძანება „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 3.

⁶⁵ შემოსავლები მიმდინარე გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული.

⁶⁶ Alke Insaat Sanayi ve Ticaret A.Ş., ანგარიშგებულება N18880, 01.08.2018 წ.

⁶⁷ სსბასს 1, „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“, მუხლი 7.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშის მუხლში – „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“ – აღრიცხულია 10,132 ლარი, რომელიც მოიცავს დებიტორების მიერ გადახდილ თანხებს. ბუღალტრული მონაცემებით, 2020 წელს დარიცხულმა შემოსავალმა შეადგინა 133,969 ლარი.

შედეგად, სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს 2020 წლის შემოსავლის თანხა შემცირებულია 123,837 ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შემოსავლის თანხა გაზრდილია 17,359,941 ლარით.

1.8 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,⁶⁸ შეცდომები უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად.

სსიპ – ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 2020 წელს, 2010-2018 წლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, 227,760 ლარით შეამცირა⁶⁹ „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე აღრიცხული თანხა და ამავე დროს გაზარდა ხარჯებიც, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციას.⁷⁰ აღნიშნული ოპერაცია უნდა დაკლასიფიცირდეს შეცდომების გასწორებად და გავლენას არ უნდა ახდენდეს საანგარიშგებო წლის მოგებაზე ან დეფიციტზე.

სსიპ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების „შიდა ტრანსფერებით ხარჯებში“⁷¹ აღრიცხულია 389,915 ლარის ოდენობის 2017-2020 წლებში სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე გადახდილი ჯარიმები. დეპარტამენტი 2020 წლამდე არ აღრიცხავდა მსგავსი ტიპის ჯარიმებს და მათ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდას.

ზემოაღნიშნული თანხიდან, 2017-2019 წლებში გადახდილი ჯარიმების თანხა – 212,681 ლარი არ მიეკუთვნება 2020 წლის ხარჯებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების ხარჯის თანხა გაზრდილია 440,441 ლარით.

1.9 სხვა ხარჯები

ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში, „სხვა ხარჯების“ მუხლში ასახულია 1,731,886 ლარის ოდენობის დღგ-ის თანხა. აღნიშნული წარმოადგენს სააგენტოს მიერ შესყიდული პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტების რეალიზაციიდან⁷² მიღებული შემოსავლის დღგ-ის ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაფარვას ან აქტივად/ვალდებულებად აღიარებას.

შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების თანხა გაზრდილია 1,731,886 ლარით.

⁶⁸ სსბასს 3, „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მუხლი 47.

⁶⁹ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსის 2020 წლი 3 ივლისის N1012-03 მოხსენებითი ბარათი.

⁷⁰ სსბასს 3, „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მუხლი 47.

⁷¹ შემოსავლების ამკრეფი ერთეულების მიერ ხაზინისათვის გაწეული მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები.

⁷² გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 11,353,474 ლარი (დღგ-ის ჩათვლით).

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. მნიშვნელოვანი გარემოებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით:

2.1 სასამართლო დავები

სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კერძოდ, არ არის განსაზღვრული ერთიანი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც შეფასდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები. მაგალითად:

- **სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს** მიერ პირობითი აქტივების ანგარიშზე აღირიცხება ისეთი თანხები,⁷³ რომლებზეც მიმდინარე სასამართლო დავების სააგენტოს სასარგებლოდ დასრულების ალბათობაც ძალიან მაღალია (თითქმის 100%).⁷⁴ ასევე აღირიცხება ის თანხები, რომელზეც სასამართლო დავა სააგენტოს სასარგებლოდ დასრულდა და აღსრულებისთვის არის გადაცემული;
- **სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს** „მოკლევადიანი დებიტორული დავალიანების“ ანგარიშზე აღირიცხება ისეთი თანხები, რომლებზეც მიმდინარე სასამართლო დავების სააგენტოს სასარგებლოდ დასრულების ალბათობა 50%-ზე მეტია,⁷⁵ ხოლო 50%-ზე ნაკლები ალბათობის შემთხვევაში არ აისახება ანგარიშგებაში;⁷⁶
- **სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 113,341 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელზეც მიმდინარეობდა სასამართლო დავები, მათი მოგების ალბათობები კი არ იყო შეფასებული.

2.2 განმარტებითი შენიშვნა

დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარდგენილი სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნების“ მოთხოვნების შესაბამისი ინფორმაცია.

განმარტებით შენიშვნებში არ არის მოცემული დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.⁷⁷

საცნობარო მუხლები

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს 2020 წლის ინვენტარიზაციის შედეგები შეჯამდა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შემდეგ,⁷⁸ რის გამოც ინვენტარიზაციის დროს საცნობარო ანგარიშებზე გამოვლენილი 1,291,829 ლარის ოდენობის დანაკლისი⁷⁹ არ აისახა 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილებით, სააგენტოს შიდა აუდიტის დეპარტამენტს დაევალა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისის წარმოშობის საკითხის შესწავლა.

⁷³ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირობითი აქტივის ნაშთია 1,290,240 ლარი.

⁷⁴ სააგენტოს იურიდიული სამსახურის მიერ გაკეთებული შეფასებით.

⁷⁵ 462,696 ლარი.

⁷⁶ 110,049 ლარი.

⁷⁷ სსბასს 20, მუხლი 27-41.

⁷⁸ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2020 წლის 31 დეკემბრის N2942/ს ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი N1, 30.06.2021 წ.

⁷⁹ ამორტიზებული ძირითადი აქტივები - 1,012,720 ლარი, ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები და მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში - 279,109 ლარი, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული აქტივები - 3,582 ლარი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლში – „საბანკო გარანტიები“ არ არის ასახული დებიტორების მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თანხები. ინფორმაცია უწყებების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N5.

ცხრილი N5. ინფორმაცია საბანკო გარანტიების შესახებ (ლარი)

უწყება	საბანკო გარანტიის თანხა
სამინისტროს აპარატი	1,155,051 ⁸⁰
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო	993,429 ⁸¹
სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო	398,356 ⁸²

ზემოაღნიშნული განმარტებითი შენიშვნების ხარვეზებიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილად არ ასახავს ანგარიშის მომხმარებლებისათვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას.

⁸⁰ შპს „ფ.ს.გ.“, ს/კ 406140297; სს „თი ბი სი“ ბანკის საბანკო გარანტია საავანსო გადახდაზე N3637128-11230735, 24.12.2020 წ.

⁸¹ შპს „სოლემარტი“, ს/კ 404903119; სს „საქართველოს ბანკის“ საბანკო გარანტიები საავანსო გადახდაზე: საგარანტიო თანხა - 629,400 ლარი, N ADV48292-20, 21.12.2020 წ., საგარანტიო თანხა - 364,029 ლარი, N ADV48299-20, 22.12.2020 წ.

⁸² „ჰილალ ჩევრე დუზენლემე თემიზლიქ თაჰჰუთ თიჯარეთ ვე ნაქლიეს“ საქართველოს ფილიალი, ს/კ 400271120; სს „არდა დაზღვევის“ საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, N APN/20-093001, 21.12.2020 წ.

3. სხვა გარემოებები

3.1 მოთხოვნები

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 5,097,442 ლარის დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.⁸³ აღნიშნული პროგრამა გულისხმობს საქართველოს დაცული ტერიტორიების⁸⁴ ინფრასტრუქტურულ მოწყობასა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას შესაბამისი ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით.

დონორის მიერ გამოყოფილი თანხების ათვისება ხორციელდება მისივე დაქირავებული კონსულტანტების⁸⁵ მიერ, რის შესახებაც სააგენტოს ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ხაზინა და ამ მონაცემების საფუძველზე ხდება მოთხოვნების აღიარება ავანსის სახით.

აღსანიშნავია, რომ ხაზინიდან მიღებული ინფორმაციით სააგენტო ვერ უზრუნველყოფს იდენტიფიცირებას რომელი აქტივების შექმნას ან მომსახურების გაწევას უკავშირდება პროექტის შესრულებისთვის დონორის მიერ გადარიცხული თანხები, ასევე სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების სტატუსის შესახებ. შესაბამისად, პროექტის დასრულებამდე არ აქვს შესაძლებლობა შეამციროს 2014 წლიდან აკუმულირებული ავანსები, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს ხარჯს ან ძირითად აქტივს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები, რამდენად წარმოადგენს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 5,097,442 ლარი დებიტორულ დავალიანებას.

3.2 ძირითადი აქტივები

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ასახულია 1,057,078 ლარის ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები. სააგენტოს არ გააჩნია აღნიშნული აქტივების განკარგვისა და კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება,⁸⁶ შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად აღიარებას. ნაპირსამაგრი ნაგებობების გადაცემის მოთხოვნით, გარემოს სააგენტოს შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გაგზავნილი აქვს წერილები.⁸⁷

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააგენტოს ბალანსზე ასახულია 231,973 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელზეც სააგენტომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია.⁸⁸

3.3 ინვენტარიზაცია

